

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ცნობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის მიზნით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო გაცნობებთ, რომ „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის მიზნით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 16 ნოემბრის # 69 16-ე ბრძანების შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 20 დღის განმავლობაში, შესაბამისი განცხადების ან პროექტის საჯარო განხილვისათვის წარდგენის დღიდან. მოსაზრებების წარდგენისას, პირი უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია: ქ. ნინოწმინდა, კუშკინის ქ. #43, ადმინისტრაციული შენობის მესამე სართული.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ სოციალური ქსელის www.ninotsminda.ge მეშვეობით - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გვერდზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში - განცხადებების სტენდზე, ან ეგზემპლარი მოიკითხოთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან (საკრებულოს აპარატში).

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის პროექტის განხილვა-დამტკიცება სავარაუდოდ დაგეგმილია 2016 წლის ბოლოსათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე

სუმბატ კიურელიან

16 ნოემბერი 2016 წელი, ქ. ნინოწმინდა



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 69 16

16/11/2016

**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და
 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის
 მიზნით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
 ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

*„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული
 კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის მე-2 პუნქტის,
 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს
 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავის შესაბამისად, ვბრძანებ:*

1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის მიზნით.
2. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 20 დღის განმავლობაში შესაბამისი განცხადების ან პროექტის საჯარო განხილვისათვის წარდგენის დღიდან. მოსაზრებების წარდგენისას, პირი უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა.
3. გამოიცეს შესაბამისი ცნობა.
4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია-ცნობა, ეს ბრძანება, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი გავრცელდეს ტელევიზიის, სოციალური ქსელის www.ninotsminda.ge მეშვეობით - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გვერდზე და განცხადების სტენდის საშუალებით.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სუმბატ კიურელიან

საკრებულოს თავმჯდომარე